შპს კოლეჯ „მესამე სამედიცინოს“ მიერ „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნინო ვასაძე
წევრები: ია გელენიძე

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს კოლეჯი მესამე სამედიცინო
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო კოდი: 404935273
სახე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ ვასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

—

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 02 აგვისტოს N 956046 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით: თავმჯდომარე - ნინო ვასაძე, წევრი - ია გელენიძე დაევალა ვიზიტი სსიპ კოლეჯ „მესამე სამედიცინოში“, მისამართი: (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი #142).მიმდინარე წლის 09 აგვისტოს, "საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების მიზნით. ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია: საგანმანათლებლო პროგრამა, სამართლებრივი დოკუმენტაცია, რომლითაც რეგულირდება კოლეჯის საქმიანობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი დაწესებულებასთან. ვიზიტის დროს გავესაუბრეთ კოლეჯის დირექტორს, ხარისხის მართვის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, ბიბლიოთეკარს, პროგრამის ხელმძღვანელს, განმახორციელებელ პირებს. დავათვალიერეთ მატერიალური რესურსი-A გარემო, B გარემო,ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცე და წიგნადი ფონდი, რაც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. ასევე ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა ოთხივე პრაქტიკის ობიექტი, რომელთანაც პრაქტიკის დაწესებულებას გატანილი აქვს კლინიკური მოდულები. მოხდა გასაუბრება ხელმძღვანელობასა და პრაქტიკის განმახორციელებელ პირებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ ვასაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას აქვს აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პრგრამის განხორციელების გამოცდილება. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 10 ივლისის #856622 გადაწყევტილებით „შპს „კოლეჯ მესამე სამედიცინოს“ ავტორიზაციის შესახებ“, კოლეჯს არ მიენიჭა უფლებამოსილება განეხორციელებინა საექთნო განათლების პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა. აღნიშნული დოკუმენტის მე-3 მუხლის თანახმად გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2023 წლის 19 ივლისიდან. ამ დროისთვის საექთნო განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა დასრულებული იყო და დამამთავარებელი კურსის სტუდენტებს უწევდათ საკვალიფიკაციო გამოცდა, რომელიც დაგეგმილი იყო 4.07.2023-7.07.2023 პერიოდში. თუმცა, დაწესებულებამ გააუქმა აღნიშნული გამოცდა. კოლეჯის დირექტორმა ინტერვიურებისას აღნიშნა,რომ რადგან საბჭოს სხდომა დაგეგმილი იყო 10.07.2023-ში და დაწესებულებას ჰქონდა ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით, მიიღო გადაწყვეტილება საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღის გაუქმების შესახებ სტუდენტთა ინტერესებიდან გამომდინარე, რადგან არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფდა სტუდენტთა უფლებების დაცვას კოლეჯის მარეგულირებელი დებულების 35-ე მუხლის შესაბამისად. საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად პროგრამის განხორციელების უფლება მიეცა დაწესებულებას 19 ივლისამდე, რის შესახებაც ინფორმაცია მიეწოდა საბჭოს სხდომაზე 2023 წლის 10 ივლისს. დაწესებულებამ მოახდინა პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება, რომ მათ შესაძლებლობა ჰქონდათ დაჩქარებული წესით ჩაებარებინათ საკვალიფიკაციო გამოცდა. თუმცა პროფესიულმა სტუდენტებმა 2023 წლის 12 ივლისს ერთობლივი განცხადებით(რეგისტრაციის ნომერი#66;14.07.2023) მიმართეს კოლეჯის დირექტორს, რომ უარს აცხადებდნენ დაჩქარებულ დროში გამოცდის ჩაბარებაზე. განცხადებას ხელს აწერდა 13 პროფესიული სტუდენტი. შესაბამისად, კოლეჯმა სტუდენტთა მოთხოვნის საფუძველზე არ ჩაატარა საკვალიფიკაციო გამოცდა. ექსპერტთა მოსაზრებით, საბჭოს გადაწყვეტილების მიღებამდე, დაგეგმილ დროს უნდა მომხდარიყო საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება და სტუდენტებისთვის კვალიფიკაციის მინიჭებისთვის აუცილებელი ნაბიჯების გადადგმა, რადგან ამ პერიოდისთვის სამართლებრივად არ ჰქონდა პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება შეწყვეტილი.

ვიზიტისას დაწესებულებამ გამოთქვა მზაობა, რომ პროგრამის დამატების შემთხვევაში პროცესი წარიმართებოდა კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა 2023 წლის 23 აგვისტოს #8351 წერილით არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც დააფიქსირა თავისი მოსაზრებები. არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდგომ ექსპერტთა შეფასება არ შეცვლილა და საბოლოო დასკვნა ჩამოყალიბდა იგივე ფორმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ ვასაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

არ დაფიქსირებულა.

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ინდიკატორი 2.1.1.1 რეკომენდებულია კოლეჯმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, შეისწავლოს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა პროგრამის გახორციელების მიზანშეწონილობის შესაბამისობა კოლეჯის სტრატეგიულ მიზნებთან, რესურსული მიზანშეწონილობა, ეკონომიკური მიზანშეწონილობა, სამართლებრივი და ოპერაციული მიზანშეწონილობა.

ფაქტობრივი მდგომარეობის აღწერა-დაწესებულებას ამ ეტაპზე ნაწილობრივ აქვს შესრულებული აღნიშნული რეკომენდაცია, პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტში დასაბუთებულია რესურსული მოზანშეწონილობა, თუმცა არ არის გათვალისწინებული რეკომენდაციაში წარმოდგენილი სხვა ფაქტორები.

ინდიკატორი 2.2.1.7 რეკომენდებულია დაწესებულებამ შეისწავლოს პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის დაბალი მაჩვენებლების მიზეზები და გააძლიეროს პროფესიულ სტუდენტთა მოზიდვის ღონისძიებები. ასევე, რეკომენდებულია დაწესებულებამ იზრუნოს დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროების გააქტიურებაზე მათ შორის მოკლევადიანი კურსების, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების ან/და სხვა აქტივობების განხორციელების გზით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ფაქტობრივი მდგომარეობის აღწერა-ამ ეტაპზე დაწესებულებას კვლევა არ განუხორციელებია, თუმცა გეგმავს რეკომენდაციის შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

ინდიკატორი 2.3.1.2 რეკომენდებულია დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება, მონიტორინგი და ცვლილებები განახორციელოს ერთგვაროვანი მიდგომებისა და პროცედურების მიხედვით.

ფაქტობრივი მდგომარეობის აღწერა-დაწესებულების წარმომადგენლებმა გამოხატეს მზაობა პროგრამაში საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები შეიტანოს რეკომენდაციის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.4.1.5 რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული სუბიექტის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეფასების წესი საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის 5.5 პუნქტის შესაბამისად.

ფაქტობრივი მდგომარეობის აღწერა-დაწესებულებას ამ ეტაპზე არ აქვს შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული სუბიექტის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეფასების წესი. თუმცა აქვთ მზაობა გაითვალისწინონ რეკომენდაცია.

ინდიკატორი 2.4.1.1 რეკომენდებულია დაწესებულებამ სავალდებულო წარმოების პრაქტიკით დანერგოს ჩანაწერების ჟურნალის წარმოების ვალდებულება, რაც დაეხმარება პროფესიულ სტუდენტს სწავლისას, ხოლო კოლეჯს პროგრამის განხორციელების პროცესის მონიტორინგისა და გაუმჯობესებაზე მიმართული ღონისძიებების გატარებაში.

ფაქტობრივი მდგომარეობის აღწერა-დაწესებულებას რეკომენდაციის გაცემის შემდგომ არ განუხორციელებია სწავლება, თუმცა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-14 მუხლის მე-19 და მე-20 პუნქტით განსაზღვრულია, რომ პროფესიული სტუდენტი მუშაობს საწარმოში, აწარმოებს პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალს, რომელიც წარმოადგენს სწავლის შედეგების შეფასების მტკიცებულებას საწარმოში. სრულფასოვნად შევსებული ჩანაწერების ჟურნალი წარმოადგენს შუალედურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

და საკვალიფიკაციო გამოცდებზე დაშვების წინაპირობას სტუდენტის შეფასება ხდება ჩანაწერების ჟურნალის საფუძველზე. დაწესებულების წარმომადგენლებმა გამოხატეს მზაობა შეასრულონ აღნიშნული რეკომენდაცია.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დირექტორის 2023 წლის 13 ივლისის №34 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთი, აკაკი წერეთლის გამზირი №142
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	100 პროფესიული სტუდენტი, მისამართზე - თბილისი, დიდუბეჩუღურეთი, აკაკი წერეთლის გამზირი №142, მოდულურ(კოოპერაციულ) სწავლებაზე
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ ვასაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ ვასაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებამ წარმოადგინა საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი. ექსპერტთა მიერ გაანალიზდა წარმოდგენილი მიზანშეწონილობის დასაბუთება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ დაწესებულებამ მოცემული პროგრამა პირველად დაიმატა 2019-2020 წლისათვის, წარმატებით ახორციელებდა და ყოველთვის იყო მოთხოვნა როგორც პოტენციური სტუდენტების, ისე დამსაქმებელთა მხრიდან. ვიზიტისას გამოთხოვილ იქნა სტატისტიკა კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლის შესახებ. დაწესებულებას არ წარმოუდგენია აღნიშნული, თუმცა კოლეჯის დირექტორმა და პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნეს, რომ დასაქმების მაჩვენებელი ძალიან მაღალია და ხშირ შემთხვევაში პრაქტიკის ობიექტებზე ხდება მათი დასაქმება. დაწესებულების მიერ შემუშავებული დასაბუთების დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის დამატების გადაწყვეტილება დაიმატოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საექთნო განათლება ეფუძნება შემდეგ გარემოებებს: ა) კოლეჯმა პარტნიორ დაწესებულებებთან გააფორმა ხელშეკრულება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად; ბ) განაახლა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაზარდა რესურსების რაოდენობრივი მაჩვენებლები, საბიბლიოთეკო ფონდი, დაამატა ცალკეული ლიტერატურა, გააფორმა ხელშეკრულება სსიპ საკანონმდებლო მაცნესთან; ბ) განაახლა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შემადგენლობა. მოყვანილია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კვლევა(2015), რომლის თანახმადაც საექთნო განათლება მოთხოვნადი პროფესიაა. ასევე პროგრამის დამატების მიზანშეწონილობა დაწესებულებას განხილული აქვს ანაზღაურების პოლიტიკის ჭრილში. როგორც დოკუმენტში აღნიშნული იზრდება 2023 წლის 1 იანვრიდან გაიზარდა ექთნის ანაზღაურება და კვლავაც იგეგმება მომდევნო წლებში.

დაწესებულებას მისიით განსაზღვრული აქვს საკუთარი ადგილი საგანმანათლებლო ბაზარზე, კოლეჯი მესამე სამედიცინოს წამყვანი მიმართულება ჯანდაცვაა. პროგრამის დამატების შესახებ გადაწყვეტილება თანხვედრაშია როგორც დაწესებულების მისიასთან, ასევე 2019-2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

<u>რეკომენდებულია პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დასაბუთებისას დაწესებულებამ გაანალიზოს რამდენადაა შესაძლებელი ახალი პროგრამის ამოქმედების პირობებში მისი განხორციელების სრულფასოვანი ადმინისტრაციული მხარდაჭერა, მიმოიხილოს მის სამოქმედო არეალში კონკურენტი პროვაიდერების არსებობა, პროგრამის კონტექსტში. ასახოს საკუთარი ძლიერი მხარეები კონკურენტებთან მიმართებით.</u>

დაწესებულებამ წარმოადგინა 2023 წლის 23 აგვისტოს #8351 წერილით არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც აღნიშნა, რომ დასკვნის პროექტში ექსპერტთა ჩანაწერი „ვიზიტისას გამოთხოვილ იქნა სტატისტიკა კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლის შესახებ. დაწესებულებას არ წარმოუდგენია აღნიშნული“- არ შეესაბამება სიმართლეს. დაწესებულება აღნიშნავს, რომ ექსპერტებს ვიზიტისას წარედგინა კოლეჯის და უნარების სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევის სტატისტიკა. ექსპერტები თანხმდებია, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა ექსელის ცხრილით გამოკითხვის შედეგები, რომელიც არ არის გაანალიზებული. დაწესებულებას არ წარმოუდგენია კვლევის ანგარიში, რომელშიც გამოჩნდებოდა სულ რამდენი კურსდამთავრებული ჰყავს დაწესებულებას, რამდენმა მიიღო გამოკითხვაში მონაწილეობა, რამდენი არის დასაქმებული განათლების შესაბამის სფეროში დასაქმებული და სხვა. შესაბამისად, რადგანაც არ იყო მონაცემები გაანალიზებული ექსპერტთა მიერ აღნიშნული დოკუმენტი არ ჩაითვალა როგორც „სტატისტიკა კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლის შესახებ“.

2. საექთნო განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სრული ზოგადი განათლება არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლების შემთხვევაში, რაც თანხვედრაშია საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტთან. პროგრამაზე დაშვების პროცედურები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 09 ივლისის №33 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში - „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“ და შესაბამისობაშია მოყვანილი „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის # 42/ნ ბრძანებასთან. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

3. დაწესებულებას კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის #9 ბრძანებით დამტკიცებული აქვს საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება, რომლის 44-ე მუხლითაც რეგულირდება სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. კოლეჯში პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება თითოეულ პროგრამაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

მისაღები კონტიგენტის რაოდენობათა ჯამით. თითოეულ პროფესიულ პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის რაოდენობა კი განისაზღვრება რამოდენიმე კომპონენტის გათვალისწინებით:

A გარემო/თეორიული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცე - სტუდენტების რაოდენობა თეორიულ სამეცადინეო ოთახში გაიანგარიშება შემდეგი პრინციპით: ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სამუშაო ადგილების რაოდენობა; კონკრეტული პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა;

B გარემო/კომპიუტერული კლასი გამოიყენება ყველა პროგრამისათვის და გაანგარიშდება სტუდენტთა საერთო რაოდენობაზე: ყოველ პროფერსიულ სტუდენტზე სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; ყოველ პროფესიულ სტუდენტზე ერთი კომპიუტერი სრული კომპლექტაციით; კომპიუტერების რაოდენობა უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ ყოველმა პროფესიულმა სტუდენტმა შეძლოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მეცადინეობაზე დასწრება ინდივიდუალურ კომპიუტერთან; C გარემო/პრაქტიკისათვის განკუთვნილი სივრცე --- სტუდენტების რაოდენობა პრაქტიკის ოთახში გაიანგარიშება შემდეგი პრინციპით: ყოველ პროფერსიულ სტუდენტზე სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სასწავლო გარემოს ფართი; კონკრეტული პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა; იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკის ოთახი გამოიყენება ორი ან მეტი პროგრამისა და ჯგუფისათვის, ფართი და აღჭურვილობა უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ ყოველმა პროფესიულმა სტუდენტმა შეძლოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პრაქტიკულ მეცადინეობაზე დასწრება შეუფერხებლად. საწარმოო პრაქტიკის ობიექტი კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება ასევე პრაქტიკის ობიექტთან (ობიექტებთან) გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სტუდენტების იმ მაქსიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რაც პრაქტიკის ობიექტს შეუძლია მიიღოს სასწავლო წლის მანძილზე; ამ ეტაპზე დაწესებულებას საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი აქვს 5 A გარემო, სადაც თითოეულში განთავსებულია 20 მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდნტებისთვის, ასევე მაგიდა მასწავლებლისთვის, კომპიუტერი და პროექტორი. B გარემოს დაწესებულება გამოიყენებს გრაფიკის მიხედვით ფარმაციისა და საექთნო განათლების პროფესიული სტუდენტებისთვის. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

4. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამა დანართის სახით მოიცავს სასწავლო რესურსების და აღჭურვილობის ჩამონათვალს, რომელიც სრულ თანხვედრაშია საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო საგანმანათლებლო რესურსთან. **შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამით**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ შეიცავს არჩევით მოდულს.

6. საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 13 ივლისის #34 ბრძანებით. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის #9 ბრძანებით დამტკიცებული აქვს საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება, რომლის 24 მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად დირექტორი განიხილავს და გამოსცემს ბრძანებას პროგრამების დამტკიცების შესახებ, რაც ასევე თანხვედრაშია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 ივნისის #15 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის,განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგიასთან. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია და საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.**

7. საექთნო განათლების პროფესიული განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებული შეძლებს შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა ; განახორციელოს თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა, ქირურგიული პაციენტის, გადაუდებელი პაციენტის, კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის, პერიოპერაციული პაციენტის, სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის, პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა; განახორციელოს და უზრუნველყოს შინმოვლის მომსახურების გაწევა; განახორციელოს და უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა; დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისა და მოვლის ხარისხის შეფასება. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები ავითარებს სტუდენტებში ისეთ პროფესიულ უნარებს, რომლითაც უზრუნველყოფს საექთნო მომსახურების მიწოდებას. აღნიშნული სხელწოდება განსაზღვრულია პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით. **ექპერტთა შეფასებით, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

8. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის #9 ბრძანებით დამტკიცებული აქვს საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება, რომლის 24 მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად დირექტორი განიხილავს და გამოსცემს ბრძანებას პროგრამების დამტკიცების შესახებ. საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 13 ივლისის #34 ბრძანებით. პროგრამაში განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები სწავლის შედეგები, ინფორმაცია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების, კრედიტების და პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, ჩანაწერები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების თაობაზე და პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით. პროგრამას თან ერთვის ზოგადი და პროფესიული მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების დაცვითა და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის მითითებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლების“ მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 180 კრედიტია, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 210 კრედიტს. **შესაბამისად, პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის მისია და ხედვა
- სტრატეგიული გავითარების გეგმა(2019-2025)
- პროგრამის დამატების დასაბუთების დოკუმენტი
- საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება
- სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- საგანამანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლების“ სასწავლო გეგმა
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის,განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას დაწესებულება უზრუნველყოფს სარგებლობაში არსებულ ფართზე, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი №142-ში, სადაც კეთილმოწყობილია 447,36 მ^2 ფართი და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის.

პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის, კოლეჯის გააჩნია:

- A სასწავლო გარემოში არის 10 ორ ადგილიანი მერხი, სულ 20 ადგილი პროფესიული სტუდენტისათვის, 1 მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის. სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და ვიზუალური თვალსაჩინოებებით (სულ 4 აუდიტორია, სულ 80 ადგილი, გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის საექთნო განათლება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

- B სასწავლო გარემოში (აუდიტორია №4, 22,34მ²) არის 10 ორ ადგილიანი მერხი, სულ 20 ადგილი და 20 კომპლექტი კომპიუტერი/ლეპტოპი პროფესიული სტუდენტისათვის, 1 მაგიდა, სკამი და 1 კომპლექტი კომპიუტერი/ლეპტოპი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, გამოიყენება ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის (საექთნო განათლება და ფარმაცია (სააფთიაქო));
- AC სასწავლო გარემოში (აუდიტორია №11, 66,42მ²) არის 10 ორ ადგილიანი მერხი და 2 ცალი 20 ადგილიანი ლაბორატორიული მაგიდა, სულ 40 ადგილი პროფესიული სტუდენტისათვის, 1 მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის. ლაბორატორია აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და ვიზუალური თვალსაჩინოებებით, გამოკრულია უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქციები;
- კოლეჯი კლინიკური მოდულების განხორციელების მიზნით თანამშრომლობს შემდეგ ობიექტებთან:
    - სს „ევექსის ჰოსპიტლები“ ივანე ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტი ჰოსპიტალი (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი - 12.12.2022 წელი, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა - ერთდროულად 80 პროფესიული სტუდენტი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა - 6 წელი, ობიექტს გააჩნია იმ მოდულების მიმართულების საქმიანობის ნებართვა, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია კლინიკური სწავლების ფარგლებში);
    - შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი - 05.12.2022 წელი, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა - ერთდროულად 80 პროფესიული სტუდენტი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა - 6 წელი, ობიექტს გააჩნია იმ მოდულების მიმართულების საქმიანობის ნებართვა, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია კლინიკური სწავლების ფარგლებში);
    - შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი - 12.12.2022 წელი, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა - ერთდროულად 40 პროფესიული სტუდენტი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა - 6 წელი, ობიექტს გააჩნია იმ მოდულების მიმართულების საქმიანობის ნებართვა, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია კლინიკური სწავლების ფარგლებში);
    - ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი - 01.12.2022 წელი, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა - ერთდროულად 20 პროფესიული სტუდენტი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა - 3 წელი)

პროგრამის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია 24 პროფესიულ მასწავლებელთან და კლინიკური მოდულის განმახორციელებელ 34 პირთან. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია სასწავლო საწარმოს მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

2. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის **„საექთნო განათლება“** ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია 24 პროფესიულ მასწავლებელთან და 34 კლინიკური მოდულის განმახორციელებელ პირთან. აქედან 6 პირი ჩართულია ზოგადი მოდულის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

განხორციელებაში. . ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მათი პირადი საქმეები, კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტები და კვირეული საათობრივი დატვირთვა. დაწესებულებას თითოეულ მოდულთან მიმართებით ჰყავს ერთზე მეტი განმახორციელებელი პირი. ასევე გადამოწმდა პრაქტიკის ობიექტებზე კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი პირის და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობაა - 1/7 რამდენად შეესაბამებოდა ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ მოთხოვნას. ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში კოლეჯს გატანილი აქვს ორი მოდული -კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია და შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია. აღნიშნულ მოდულებზე კლინიკას ჰყავს განსაზღვრული 4 განმახორციელებელი პირი. შესაბამისად ერთ მიღებას შეძლებს მიიღოს 28 პროფესიული სტუდენტი,ორ ცვლაში 56 პროფესიული სტუდენტი. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

3. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ 27.5-ე მუხლის მიხედვით პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია უმაღლესი ან პროფესიული განათლება (შესაბამისი მიმართულების) ან შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. დამატებითი მოთხოვნებია: პედაგოგიური გამოცდილება და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარების ფლობა.

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის **„საექთნო განათლება“** განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს გავლილი აქვს ტრენინგები სწავლებასა და შეფასებაში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად შემოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები და შეფასდა პროფესიული განათლების მასწავლებელთავის დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან პერსონალის პირადი საქმეების შესაბამისობის საკითხი.

პერსონალის პირადი საქმეების შესწავლითა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს უდასტურდება პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია.**

4. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დანიშნულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ 17[1] მუხლი არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებს. პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ხელმძღვანელი მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების/მოქმედ პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცესში; პასუხისმგებელია პროფესიული საგანმანათლებლო მოდულების ადაპტირებისა და მათ სტანდარტებთან შესაბამისობაზე; საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის საქმიანობაზე. პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია: უმაღლესი/პროფესული განათლება; მუშაობის 2 წლიანი გამოცდილება. დამატებითი მოთხოვნა: საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებების მოხმარების და საოფისე პროგრამების ცოდნა მომხმარებლის დონეზე.

პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგობრივი მიმართულებით შესაბამისი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების მქონე სპეციალისტი. მას უდასტურდება ასევე კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების კომპეტენცია. პროგრამის ხელმძღვანელი სრულფასოვნადაა პროგრამის განვიტარების პროცესში და სრულად ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესის, შეფასების სისტემის, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა შესახებ, რაც დადგინდა პერსონალთან ინტერვიურებისას. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში - საექთნო განათლება მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით დასტურდება ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებითა და შერჩევითი პრინციპით რამდენიმე რესურსის გადამოწმების შედეგით. ამასთან, პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ელ.ფოსტაზე გაგზავნის გზით. ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

6. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის № 9 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ 32-ე მუხლი არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმებს, განსაზღვრულია ინდიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების შემთხვევები და პროცედურები.

ამასთან, ამავე დებულების 32.2-ე მუხლის მიხედვით, კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია საჭირო გახდეს დამხმარე ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა და სასწავლო რესურსების ადაპტირება. სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

რესურსების ადაპტირებაში იგულისხმება ასევე, სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირება. მაგ: შედარებით მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, სპეციალურ პროგრამას კითხვისათვის უსინათლოებისა და მცირე მხედველთათვის. **ექსპერტთა შეფასებით, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საექთნო განათლება განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. ბიუჯეტის შემოსავლები დაანგარიშებულია ვაუჩერული დაფინანსების ოდენობის გათვალისწინებით, ხოლო ხარჯვითი ნაწილი კლასიფიცირებულია შემდეგნაირად: მასწავლებელთა ხელფასი, პრაქტიკის მასწავლებელთა ხელფასი, ადმინისტრაციის ხელფასი, იჯარა, კომუნალური, კლინიკის ხარჯი, მასალა ნედლეული. პროგრამის საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტის მიხედვით განსაზღვრული ხარჯების ანაზღაურებისთვის საკმარისია დაწესებულების მიერ გაანგარიშებული რეანტაბელობის ზღვარის მიხედვით იდენტიფიცირებული შემოსავლის ოდენობა. დაწესებულების მიერ რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ კლინიკური სწავლების ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ✓ „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეები;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის განვითარების ღონისძიების ჩატარების მტკიცებულება;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საექთნო განათლება ბიუჯეტი;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
- ✓ კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კოლეჯ მესამე სამედიცინოს დირექტორის 2020 წლის 30 ივნისის #15 ბრძანებით დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლის მეშვიდე და მერვე მუხლითაც რეგულირდება პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ახორციელებს სასწავლო პროცესის, მათ შორის საგამოცდო პროცესის მონიტორინგს, ატარებს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პროგრამის განმახორციელებელი, ადმინისტრაციული პერსონალის და ზოგ შემთხვევაში დამსაქმებელთა გამოკითხვებს. საჭიროების შემთხვევაში ახდენს ინტერვიურებას, ახორციელებს სასწავლო მასალების განახლების მონიტორინგს, პროგრამის შეფასებისთვის შესაძლებელია გამოყენებული იყოს სხვადასხვა ინდიკატორი, რომელთა დანიშნულებაა პროგრამის შეფასება რაოდენობრივი მაჩვენებლების მეშვეობით. მაგ.: პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი; პროგრამაზე ჩარიცხვის დინამიკა; გარე მობილობით პროგრამაზე გადმოსული და პროგრამიდან გადასული სტუდენტების რაოდენობა და მათი თანაფარდობა; პროგრამის საფეხურითა და ხანგრძლივობით გათვალისწინებულ ვადაში პროგრამის დასრულების მაჩვენებელი; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი; კურსდამთავრებულთა სპეციალობით დასაქმების მაჩვენებელი და/ან სხვ. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, მონიტორინგის შედეგების, დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების, წინადადებების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს და ანგარიშს წარუდგენს დირექტორს. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

2. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია დაფუძნებულია დემინგის ციკლზე „დაგეგმე-განახორციელე-გადახედე/ გაუმჯობესე“ მოდელზე. აღნიშნული საკითხი რეგულირდება „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმით“, რომელიც ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის მიზნით არსებობს ხარისხის მართვის მენეჯერის საშტატო ერთეული. პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობებისა და შეფასების პროცესის ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე. პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა გამოკითხვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, მათ მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 ივნისის # 15 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“,რომლის მეათე მუხლითაც რეგულირდება პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესი. ცვლილება ეფუძნება ხარისხის მენეჯერის სამსახურებრივ ბარათს, რომელიც შეფასების შედეგებზე დაყრდნობით ახდენს ცვლილებების ინიცირებას. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯს შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ დოკუმენტი, რომელშიც დანართის სახით დამტკიცებულია „კალენდარული გეგმის“ ფორმა. აღნიშნული ფორმის შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმები უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. ასევე დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისთვის. სასწავლო გეგმები აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**

2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის N9 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება“ და კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 04 დეკემბრის N67 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია“ განსაზღვრავს სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ადმინისტრირებისა და ამ პროცესში პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებს. სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა სწავლის შედეგების მისაღწევად, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ხდება სასწავლო გეგმის მოდიფიცირება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება. დაწესებულებას გაწერილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

მექანიზმი. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

3. პროგრამა აღჭურვილია ყველა იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით. პროფესიული განათლების მასწავლებლებს სისტემატიურად უტარდებათ ტრენინგები, სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ასევე, კოლეჯის მართვის მენეჯერის ხემძღვანელობით ტარდება ტრენინგები და საკონსულტაციო შეხვედრები, რაც დასტურდება ცნობებით, სერტიფიკატებითა და ტრენინგებზე დასწრების ფურცლებით. პრაქტიკის ობიექტზე განმახორციელებელი პირები მუდმივად გადიან გადამზადებას დარგის თანამედროვე სიახლეებთან დაკავშირებით, კლინიკები აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი აღჭურვილობით. **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

4. სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მე-32[1] მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს როგორც მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას . აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება როგორც სსსმ პროფესიულ სტუდენტთან, ასევე საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის მობილობისას, სტატუს აღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის ,მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას. .ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება არის მაშინ როცა: ა) სსსმ და შშმ პირი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე და ვერ აღწევს/ვერ ადასტურებს სწავლის შედეგებს; ბ) მობილობით გადმოსული პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებული აქვს მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებთან; გ) პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ორ კვირაზე მეტხანს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას; დ) პირი, რომელიც დაგვიანებით შემოუერთდა სასწავლო პროცესს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

5. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან: „ევექსის ჰოსპიტლები“ ივანე ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტი ჰოსპიტალი (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი - 12.12.2022 წელი, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა - ერთდროულად 80 პროფესიული სტუდენტი, ვადა - 6 წელი, ობიექტს გააჩნია იმ მოდულების მიმართულების საქმიანობის ნებართვა, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია კლინიკური სწავლების ფარგლებში); ▪ შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი - 05.12.2022 წელი, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა - ერთდროულად 80 პროფესიული სტუდენტი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ხელშეკრულების მოქმედების ვადა - 6 წელი, ობიექტს გააჩნია იმ მოდულების მიმართულების საქმიანობის ნებართვა, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია კლინიკური სწავლების ფარგლებში); ▪ შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი - 12.12.2022 წელი, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა - ერთდროულად 40 პროფესიული სტუდენტი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა - 6 წელი, ობიექტს გააჩნია იმ მოდულების მიმართულების საქმიანობის ნებართვა, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია კლინიკური სწავლების ფარგლებში); ▪ ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი - 01.12.2022 წელი, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა - ერთდროულად 20 პროფესიული სტუდენტი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა - 3 წელი). ხელშეკრულებებში განსაზღვრულია: ხელშეკრულების საგანი; მოდულები, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია პრაქტიკის ობიექტზე; ხელშეკრულების დანართები - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მოდულები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამონათვალი, სასწავლო გეგმა; სწავლების ადგილი; პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა; მხარეთა უფლებები და ვალდებულებები, მათ შორის - პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოების ნორმების დაცვის, მასალა-ნედლეულით უზრუნველყოფის, შუალედურ და საკვალიფიკაციო გამოცდებში ჩართულობის და სხვ. ვალდებულება; პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსი შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების“ მე-9 მუხლის მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პრაქტიკის ობიექტების ხელმძღვანელობას რომლებმაც დაადასტურეს კოლეჯთან კონსტრუქციული თანამშრომლობა, ისაუბრეს ამ თანამშრომლობის მნიშვნელობაზე, ესქპერტთა ჯგუფი ასევე გაესაუბრა კლინიკური სწავლების პროცესში ჩართულ პერსონალს, რომლებიც კლინიკაში ხელმძღვანელობენ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებას. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.**

6.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ ვასაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

- ✓ ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები;
- ✓ სასწავლო პროცესის რეგულირების წესი;
- ✓ შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის № 9 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ 34-ე მუხლი არეგულირებს შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს N416 დადგენილების შესაბამისად. განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რაოდენობა და ვადები, ინფორმაცია გამოყენებული ინსტრუმენტის შესახებ -წერილობითი გამოკითხვის დროს, დახურული ტიპის კითხვების გამოყენების შემთხვევაში ინსტრუმენტი შეცვლილია, ხოლო პრაქტიკული დავალებების შემთხვევაში დატოვებულია შეფასების იგივე ინსტრუმენტი განმეორებით გამოცდის დროსაც. მარეგულირებელი წესი მოიცავს ნამუშევრის გასწორებისა და შეფასების ვადებს. შეფასების სისტემა ეფუძნება სანდოობის, ვალიდურობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

2.დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 28 იანვრის №2 ბრძანებით დამტკიცებულია „ვერიფიკაციის მექანიზმები“, რომელიც განსაზღვრავს შიდა ვერიფიკაციის პრინციპებსა და მიმართულებებს, შიდა ვერიფიკაციის განხორციელების პროცედურებს, შიდა ვერიფიკაციის განხორციელების ეტაპებსა და მიდგომებს, სწავლის შედეგის/შედეგების შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაციას, შეფასების პროცესის ვერიფიკაციას, შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციას. წარმოდგენილია სამუშაო ფორმები, რომელიც გამოიყენება ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობაში. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა წარმოადგინა პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მტკიცებულებები სხვა პროგრამის ფარგლებში. , მათ შორის კოლეჯის დირექტორის ბრძანება ვერიფიკაციის ჯგუფის დამტკიცების თაობაზე, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოხსენებითი ბარათები, ვერიფიკაციის ჯგუფის ანგარიშები, შეფასების ფორმები და სხვ. **ექსპერტთა შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

3. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის № 9 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ 23-ე მუხლი არეგულირებს სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის/მტკიცებულებების შენახვისა და განკარგვის მექანიზმებს, რის მიხედვითაც სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი წარმოადგენს შეფასების მტკიცებულებას და ინახება კოლეჯში სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ. განმსაზღვრელი შეფასების მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება დადგენილი წესით ან რჩება კოლეჯში საგანმანათლებლო მიზნებისათვის ან გადაეცემა ავტორს. ექსპერტებთან გასაუბრებისას ხარისხის მენეჯერმა აღნიშნა, რომ მონაცემები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

აღირიცხება რეგულარულად როგორც მატერიალური ისე ელექტრონული სახით. დაწესებულებამ გაგვაცნო საკუთარი პრაქტიკა ადგილზე ვიზიტისას სხვა პროგრამების ფარგლებში. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

4. . პროფესიულ სტუდენტებს სხვადასხვა გზით აქვს კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან. პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება ხორციელდება ინდივიდუალურად, ხოლო პროფესიული სტუდენტის მხრიდან კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაცია ტარდება კონსულტაციის ფორმისა და მითითებული ვადის გათვალისწინებით. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისთვის, რაც დასტურდება ასევე განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებითაც. **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ საგანამათლებლო დაწესებულების მარეგულირებეული დებულება;
- ✓ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის მტკიცებულებები;
- ✓ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მტკიცებულებები;
- ✓ ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

31.08.2023
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ ვასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: